მოგონება

აჰა ადგილი, აჰა ის არე,
სად ხელმწიფობდი მშვენიერებით:
ჭალაკი იგი, იგივ მდინარე
და გაზაფხული მის ფეროვნებით!
საცა შენ იყავ, მუნცა ყვავილნი
უმეტეს სუნნელთ აღმოფშვინვიდენ;
მზე ბრწყინვალებდა: აშიკ-ბულბულნი
შენდამო ქებას ტკბილად გალობდნენ!
. გახარებული შენის მშვენებით
ნიავიც ფრთეთა ამოდ განშლიდა;
ხან შენსა კავებს ნაზად შეხებით,
ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშიდა!
საცა შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი,
გულ-მხიარული, სულ აღტაცებით:
ვითა წყალობას ცისას, ველოდი
შენს ერთს მოხედვას ლმობიერებით!
სულ განაბული, ვით ანგელოზსა,
გიმზერდი კრძალვით, გულ-ძგერით, სურვით;
გისმენდი ტკბილად ხმა სირინოზსა,
ტრფიალი შენდა სულის შეწირვით!
აწ მასვე ადგილს ვჰზი მარტო ჭმუნვით,
და დრო წარსული თვალ-წინ მეხატვის,
როს გულს მინათდი მშვენების სხივით,
მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის!
დრონი წავიდნენ... თანა წარიღეს
გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა:
მარამა მე კი მარად მახსოვდეს
იგივე დრონი ნეტარებისა!
აწ არც კი მიცნობ, დ გულით იცვალე...
ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს;
შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე
და მე, თუ-გინა, საფლავმა მფაროს.

1851 წ.